ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მიგრანტი

ჩანართს გამოსცემს
ახალგაზრდა მეცნიერთა
კავშირი „ინტელექტი“.

№24 / 2017

წარმატებული ბენეფიციარები

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტებისთვის ახორციელებს პროექტს „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მცირე ბიზნესის დაფინანსების საგრანტო პროგრამა. პროექტის ფარგლებში ამ ეტაპისთვის 14 ბიზნესი დაფინანსდა.

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე
მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის № 18
ტელ.: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50
მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.ge
ვებგვერდი: intellect.ge

„წლის ბოლოს 800 კილოგრამ თაფლს ველოდები“

43 წლის გენადი ქოქოლაძე ეკომიგრანტია. ის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთში ცხოვრობდა, მაგრამ სახლთან ახლოს მდებარე კლდიდან ჩამოცვენილმა ქვებმა მისი საცხოვრებელი დააზიანა. დღეს გენადი თავის ოჯახთან ერთად კაპრეშუმის სოციალურ სახლში ცხოვრობს.

გენადი ქოქოლაძე: „ინტელექტის“ წარმომადგენელი თვითონ დამიკავშირდა. ვფიქრობ, მათ ეკომიგრანტების ბაზა მოძიებული ჰქონდათ, რადგან აქ, სოციალურ სახლში, ჩემი მეზობლებისგანაც მესმოდა მათი საინფორმაციო ზარებისა და ადგილზე განხორციელებული ვიზიტების შესახებ. დავინტერესდი და უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად „ინტელექტის“ ოფისში მივედი.

ჩავერთე პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ და გრანტის მოსაპოვებლად ბიზნესიდეა წარვადგინე. გამიმართლა, გრანტი მოვიპოვე და დღეს მე ჩემს საყვარელ საქმიანობას ვაგრძელებ. საქმის ხალისიც თავისით დამიბრუნდა“.

როგორც გენადი ამბობს, მეფუტკრეობას 10 წელია მისდევს:

„ინტელექტისგან“ მიღებული გრანტით შევიძინე ფუტკრის 40 ოჯახი. 10 ოჯახიც ჩემი ფუტკრებისგან შემომემატა და უკვე სამოცი ოჯახი მყავს. წლის ბოლოს სულ მცირე 800 კილოგრამ თაფლს ველოდები. ჯერჯერობით ფუტკარი სოფელში მყავს, რადგან წაბლის ყვავილობის დროა. აგვისტოდან კი, უკვე ჩამოვალთ ქალაქში.

ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ ნატურალურ თაფლს, ასევე სანთელს, დინდგელს. ოჯახისთვის ვამზადებ თაფლის არაყს, ცოტას გასაყიდადაც. ფუტკრების მოვლაში ჩემი მეუღლე მეხმარება.

ვგეგმავ ჩემი მეურნეობის გაზრდა-გაფართოებას და ახლო სამეზობლო-სამეგობროს დასაქმებას. ასევე, სურვილი მაქვს, ისინი წავახალისო – ფუტკრის ახალგამოჩეკილი მართვეს თითო ოჯახი ვაჩუქო, რათა ისინიც დაინტერესდნენ მეფუტკრეობით. მე კი, რაც შემეძლება დავეხმარები, გავუზიარებ ჩემს ცოდნას.

კაპრეშუმის სოციალურ სახლში მცხოვრებ ეკომიგრანტებს ვურჩევ, ვის რისი გაკეთება-განხორციელების შესაძლებლობაც აქვთ, გამოიყენონ ეს შანსი, იფიქრონ საკუთარი ბიზნესის შექმნასა და განვითარებაზე.“

„ნული თეთრითაც კი შეიძლება დაიწყო ბიზნესი“

„ინტელექტისგან“ გრანტი 53 წლის შრომითმა მიგრანტმა ცისანა ვარშანიძემ მიიღო და საკონდიტრო გახსნა.

ცისანა ვარშანიძე: „წლების განმავლობაში სხვადასხვა სარიტუალო დარბაზში ვმუშაობდი და ამ გზით ვცდილობდი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბოლო 8 წლის განმავლობაში სამუშაოდ თურქეთის რესპუბლიკაში დავდიოდი. ანაზღაურება ოჯახისთვის საკმარისი რომ არ იყო, ამიტომ ჩემს ქალიშვილთან ერთად ტორტების ცხობა დავიწყე. ლუიზას, ჩემს შვილს, კარგი ბისკვიტები გამოსდიოდა, მე კი – ცომეული.

ერთ დღესაც ჩემმა შვილმა მეგობრისგან გაიგო, რომ „ინტელექტი“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, რომლის ფარგლებშიც გასცემს ბიზნესგრანტებს. მთხოვა, ჩავერთოთ და საკონდიტრო გავხსნათო. ამ საკითხს ჯერ ეჭვის თვალით შევხედე, მაგრამ ლუიზამ დამიყოლია და ორგანიზაციის ოფისში ერთად მივედით.

ტრენინგებზეც ლუიზასთან ერთად დავდიოდი. შევიტანეთ ბიზნესგანაცხადი და პასუხიც მალევე მოგვივიდა: დაგვაფინანსეს! მრავლობითში იმიტომ ვლაპარაკობ, რომ რომ არა ჩემი შვილი, მე დღეს საკუთარი საკონდიტრო არ მექნებოდა. ის აქტიურად იყო ჩართული ყველა წვრილმან საქმეშიც კი.

პროექტში ჩართვით ძალიან კმაყოფილები ვართ. მიმაჩნია, რომ გრანტის მიღებით მინიმუმ ხუთი წლის დაბრკოლებები ჩამოვიშორეთ. „ინტელექტის“ ფინანსური დახმარებით შევიძინეთ: მიქსერი, ელექტროღუმელი, გაზქურა, მაცივარი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა...

მომხმარებელს ვთავაზობთ უგემრიელეს ტორტებს, ნამცხვრებსა და ბაქლავას. მოთხოვნის შემთხვევაში ვამზადებთ ხაჭაპურსაც.

ვმუშაობთ მხოლოდ შეკვეთებზე, რადგან ჩვენი საკონდიტრო მთავარი მაგისტრალიდან (ფრიდონ ხალვაშის გამზირი) რამდენიმე წუთის სავალზეა, შეკვეთები ყოველდღიურად გვაქვს, დღეში მინიმუმ სამ ტორტს ვაკეთებთ. ყოფილა დღე, 8 ტორტიც გაგვიკეთებია. ძირითადად 30-35-ლარიან ტორტს გვიკვეთავენ, იშვიათად, 20-ლარიანს. ჩვენ მიტანის სერვისიც გვაქვს. ქალაქის ფარგლებში მიწოდების საფასური 5 ლარია.

გრანტის მიღებამდე იყო შემთხვევები, როცა კლიენტები მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ, რომ 15-20-ლარიანი ტორტი ხომ არ გვქონდა მზად, უცებ რომ ამოევლოთ და წაეღოთ. ასეთ შემთხვევებში ჩვენ უარის თქმა გვიწევდა. დაფინანსების შემდეგ კი, მომხმარებლისთვის უარი აღარ გვითქვამს. უკვე სხვადასხვა ზომის მზა ბისკვიტები გვაქვს. ადრე თუ ერთი ტორტის გამზადების შემდეგ რამდენიმე საათი ჭურჭელს ვრეცხავდით, ახლა იმ დროს ბისკვიტების ცხობას ვანდომებთ და შეკვეთიდან 15 წუთის განმავლობაში ტორტი მზად გვაქვს.

მსურს გავზარდო ბიზნესი, გავაფართოვო და ქალაქშიც გავხსნა ფილიალი, რომელსაც ლუიზა უხელმძღვანელებს, წლების შემდეგ მას რამდენიმე საკონდიტროს მენეჯერად წარმოვიდგენ.

მინდა ყველა მიგრანტს გითხრათ, რომ ნული თეთრითაც კი შეიძლება დაიწყოთ ბიზნესი. მთავარი მონდომებაა და ყველაფერი გამოვა.“